

ა(ა)იპ ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი
მთაწმინდელის სახელობის გინაზიის ბიოლოგიის
მასწავლებლის ნინო კარელიძის პედაგოგიური პრაქტიკის
კვლევა თემაზე:

მოტივაციის პრობლემები ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის
სახელობის გიმნაზიის მე-11 კლასში

თანაავტორი: ამავე კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი თეონა ბაქრაძე

კვლევის განხორციელების პერიოდი: 2018-2019 სასწავლო წელი

სარჩევი

შესავალი	3
კვლევის არსი.....	5
თავი 1: საკვლევი საკითხის მიმოხილვა.....	7
1.1. საკვლევი საკითხის პრობლემა და აქტუალობა	7
1.2. საკვლევი კითხვა/ქვეკითხვები	8
1.3. კვლევის მიზანი	9
1.4. კვლევის ამოცანები	9
თავი 2: ლიტერატურის მიმოხილვა	10
თავი 3: კვლევის ინსტრუმენტები და შერჩევის სტრატეგია	15
3.1. კვლევის მეთოდები	15
3.2 კვლევის ვადები	16
თავი 4: შეგროვებულ მონაცემთა ანალიზი და შედეგები	17
4.1. მონაცემთა ანალიზი	17
მიგნებები.....	22
თავი 5: ინტერვენციის აღწერა და მისი შედეგები	23
5.1 ინტერვენციის აღწერა	23
5.2 ინტერვენციის შედეგები.....	27
5.3. ინტერვენციის შეფასება	29
5.4. რეკომენდაციები მასწავლებლებს	32
დასკვნა	33
დანართი I	34
დანართი II	36
დანართი III	38
ბიბლიოგრაფია.....	40
რეზიუმე.....	42

შესავალი

ზოგადი განათლება მოზარდის პიროვნული, ფსიქოლოგიური, თუ ფიზიკური ჩამოყალიბების პროცესში უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. საქართველოში ზოგადი განათლების სისტემაც მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ მოსწავლეებს ხელი შეუწყოს პირველ რიგში მისი გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, დაანახოს ჯანსაღი ცხოვრების წესის აუცილებლობა და მნიშვნელობა, მისცეს საშუალება თვითონ შეაფასოს გარემოება, გააცნობიერონ საკუთარი უფლება-მოვალეობები ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს წინაშე და ჩამოუყალიბდეთ სამოქალაქო ცნობიერება.

მოზარდმა სახელმწიფოსგან, კონკრეტულად კი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან უნდა მიიღოს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს, რომ გაიაზროს პასუხისმგებლობა ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების და ღირებულებების მიმართ, ჩამოყალიბდეს, როგორც კანონმორჩილი მოქალაქე, შეეძლოს დამოუკიდებლობა და გადაწყვეტილებების მიღება, საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების განვითარება მთელი ცხოვრების მანძილზე და მაქსიმალური რეალიზება, შეეძლოს კომუნიკაცია, იყოს შემოქმედი და თვითონ შექმნას ახალი, შეძლოს ინფორმაციის მოპოვება, გადამუშავება და ანალიზი. შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო პირობები.

სწორედ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი წარმოადგენს საქართველოში ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. ამავდროულად თითოეული სკოლა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების გარდა განსაზღვრავს საკუთარ მიზნებსაც და ყოველთვის ცდილობს წარმართოს სასწავლო პროცესი ისე, რომ არ გადაუხვიოს საკუთარ პრინციპებს და სწავლების პროცესში შეძლოს დასახული მიზნების მიღწევა.

ამ კუთხით არც ჩვენი სკოლაა გამონაკლისი და ჩვენც გვაქვს ჩვენი მიზნები, რომელიც ემსახურება თითოეული მოსწავლის აკადემიური, სოციალური, სულიერი, ფიზიკური, ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების შედგენას, რომლებშიც გათვალისწინებულია მათი ინტერესები და შესაძლებლობები. სწავლისათვის უსაფრთხო და წამახალისებელი გარემოს შექმნას მშობლებთან და საზოგადოებასთან თანამშრომლობის გზით.

გიმნაზია ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. მისი მისიაა, ქრისტიანულ ღირებულებებზე დაყრდნობით აღზარდოს მოაზროვნე, განათლებული, სამართლიანი და ჯანსაღი თაობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სწავლების პროცესს ვგეგმავთ ისე, რომ მან ხელი შეუწყოს ჩვენი სკოლის და ზოგადად სახელმწიფოს მიერ დასახული მიზნების და პრიორიტეტების განხორციელებას. შესაბამისად აქედან გამომდინარე დავინახეთ ის პრობლემა, რომლის ხანგრძლივად არსებობამაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს წინამდებარე მიზნების

განხორციელებას და მიღწევებს. სწორედ ამან გადაგვაწყვეტინა პრობლემის იდენტიფიცირება და ამ კვლევის დაგეგმვა ვიმედოვნებთ, რომ ეს შეუწყობს ხელს პრობლემატური საკითხის მოგვარებას და გამოსწორებას.

წარმოგიდგენთ მოკლე ინფორმაციას სკოლის და ზოგადად მე-11 კლასის მოსწავლეების შესახებ:

ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული სასწავლებელია. სკოლას ხელმძღვანელობს არქიმანდრიტი სტეფანე კორინთელი, ხოლო სასწავლო პროცესს წარმართავს ნანა კობახიძე.

გიმნაზიაში სულ ირიცხება 182 მოსწავლე და 33 მასწავლებელი.

სკოლა საკმაოდ წარმატებულია, რაზეც მეტყველებს ჩვენ მიერ გამოშვებული კურსდამთავრებულების საკმაოდ მაღალი წარმატებები და მიღწევები სხვადასხვა სფეროში. თუმცა არსებობს ისეთი საკითხები, რომლებიც საჭიროებს გამოსწორებას, ან ახლით ჩანაცვლებას, რათა გაუმჯობესდეს სწავლა-სწავლების ხარისხი.

აღნიშნული კვლევა, როგორც მოგახსენეთ, ჩავატარეთ გიმნაზიის მე-11 კლასში, სადაც ამჟამად ირიცხება სულ 18 მოსწავლე, (სსმ-0). მათგან 11 მოსწავლე ოქროს მედლის კანდიდატია. კლასი საკმაოდ ძლიერია, მოსწავლეები გამოირჩევიან აქტიურობით, არიან კომუნიკაბელურები, მეგობრულები, კრეატიულები, კარგად მოაზროვნეები, (გარკვეულწილად კრიტიკულებიც), ინიციატორები, დავალების კარგი შემსრულებლები, დამოუკიდებლები, შემოქმედითები და კიდევ ბევრი დადებითი თვისების მატარებლები. თუმცა მე-11 კლასში გადმოსვილას ისინი მოდუნდნენ, შესამჩნევი გახდა მათი დემოტივირება გასულ სასწავლო წელთან შედარებით. ისინი ცდილობდნენ მარტივად გაერთვათ თავი სასწავლო პროცესისათვის და ნაკლები დრო დაეთმოთ სწავლებისათვის. კლასში მაღალი პოტენციალია, თუმცა მე-11 კლასში გადმოსვლის შემდეგ ამკარად შეიმჩნევა გარკვეულწილად ჩავარდნა.

სწორედ ამან გადაგვაწყვეტინა, რომ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მათი მოტივაციის დაქვეითებასთან დაკავშირებით ჩავატარებინა, გვეპოვა დემოტივირების გამომწვევი მიზეზები და შესაბამისად დაგვეგეგმა ისეთი ინტერვენციები, რომლებიც ხელს შეუწყობდა მე-11 კლასის მოსწავლეებში მოტივაციის დაბრუნებას და კიდევ უფრო ამაღლებას.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობას უამრავი სირთულე ახლავს თან. ხშირად ამ სირთულეების იდენტიფიცირება ძნელია და შესაბამისად დგება მოგვარების პრობლემა.

ამ კუთხით საქართველოს განათლების სისტემაში დაინერგა ამ პრობლემების იდენტიფიცირების დამხმარე მეთოდი - პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, რომლის დახმარებითაც საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ პრობლემებს შეისწავლიან და ცდილობენ სხვადასხვა მოგვარების გზების ძიებას.

კვლევის არსი

სასწავლო პროცესის მიმდინარეობას უამრავი სირთულე ახლავს თან. ხშირად ამ სირთულეების იდენტიფიცირება მწელია და შესაბამისად დგება მოგვარების პრობლემაც.

ამ კუთხით საქართველოს განათლების სისტემაში დაინერგა ამ პრობლემების იდენტიფიცირების დამხმარე მეთოდი- პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, რომლის დახმარებითაც საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ პრობლემებს შეისწავლიან და ცდილობენ სხვადასხვა მოგვარების გზების ძიებას.

კვლევის არსი საკვლევი საკითხის მეცნიერული შესწავლაა. კვლევის მიმდინარეობის პროცესში მნიშვნელოვანია გუნდურობა. პრაქტიკული კვლევა ცოდნის მიღების ახლად დანერგილი ფორმაა, სადაც პრაქტიკა და თეორია უფრო დაახლოებულია ერთმანეთთან. მისი მიზანია იპოვოს პრობლემის უკეთ შესასწავლი გზები და შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ამ გზების გაუმჯობესებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

კვლევის დაგეგმვისას დგება საკვლევი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც სკოლის წარმომადგენლები შედიან. კვლევა ტარდება მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელობის ურთიერთთანამშრომლობით. იქმნება ჯგუფი, სადაც მკვლევარი(ები) და მასწავლებლები ერთად, გუნდურად მუშაობენ და ეხმარებიან ერთმანეთს პრობლემის აღმოჩენასა და შემდეგ ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაში.

კვლევას ვიწყებთ კითხვის ფორმულირებით, ამის შემდეგ მოვიპოვებთ ამ კითხვის(პრობლემის) ირგვლივ საჭირო ინფორმაციას და ვახდენთ ამ ინფორმაციის გაანალიზებას და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას.

კვლევითი საქმიანობა პრობლემების ძიებით იწყება. პრაქტიკული კვლევის ინიციატორებს კი წარმოადგენენ სკოლის დასაქმებული პირები, რომლებსაც შეუძლიათ პრობლემის პოვნა.

პრაქტიკული კვლევა რამოდენიმე თანამიმდევრული ეტაპისაგან შედგება:

- * საკვლევი საკითხის შერჩევა
- * კვლევის მიზნის განსაზღვრა
- * მეთოდოლოგიის შერჩევა
- * მონაცემთა შეგროვება და ანალიზი
- * ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება

* ინტერვენციების შეფასება

* შედეგების ანალიზი

ჩვენს მიერ დაგეგმილი პრაქტიკის კვლევა სკოლის ადმინისტრაციის და თანამშრომლების გვერდში დგომით და დახმარებით განხორციელდა. ისინი მოგვცემარნენ საკვლევი საკითხის იდენტიფიცირებასა და ფორმულირებაში და აქტიურად იყვნენ ჩართულები კვლევის პროცესში.

თავი1: საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.1 საკვლევი საკითხის პრობლემა და აქტუალობა

როგორც მოგახსენეთ კვლევის ჩატარება გადაწყვეტით ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის გიმნაზიის მე-11 კლასში (საჭიროებიდან გამომდინარე), სადაც ორივე პედაგოგი ვასწავლით.ერთობლივი მუშაობის გადაწყვეტილება მივიღეთ იქიდან გამომდინარე,რომ ორივემ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ,თითქმის ერთდროულად დავინახეთ კლასში წამოჭრილი პრობლემა,კონკრეტულად კი მოტივაციის დაქვეითება მოსწავლეებში გასულ წლებთან შედარებით ,რაც ჩავთვალეთ, რომ საგანგაშო იყო და აუცილებელი იყო ამ პრობლემის სასწრაფოდ გადაჭრა. ამისათვის საჭირო იყო სასწავლო პროცესის გადახედვა.

სწავლებისას ვიყენებთ საკლასო ორგანიზების სხვადასხვა ფორმას(საერთო საკლასო, წყვილებში, ჯგუფებში), მივმართავთ სხვადასხვა აქტივობასა და მეთოდს, ხშირად ვაძლევთ წერით დავალებებს, მოსწავლეები მუშაობენ პროექტებზე და ა.შ. მათ განვითარებული აქვთ თანამშრომლობითი უნარები, შეუძლიათ დამოუკიდებლად მუშაობა, გრძნობენ პასუხისმგებლობას, არ არღვევენ ქცევის წესებს, პატივს სცემენ ერთმანეთის აზრს, აქვთ ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა, შეუძლიათ საკუთარი მოსაზრებების თავისუფლად დაფიქსირება.გაკვეთილი ყოველთვის აქტიურად მიმდინარეობდა, თითქმის ყველა მოსწავლე ასრულებდა საშინაო დავალებებს რეგულარულად,უმრავლესობა აქტიურად იყო ჩართული საგაკვეთილო პროცესში, დიდი ინტერესით ისმენდნენ განმავითარებელ შეფასებებს(ზოგიერთისათვის რომ არ მიგვეცა ასეთი შეფასება, გვეკითხოვოდნენ, რა მოგვეწონა და რა უნდა გამოესწორებინა.)

თუმცა მოსწავლეთა მოტივაციამ იკლო გასულ სასწავლო წელთან შედარებით. ჯგუფური მუშაობისას თუ წინა წლებში მოსწავლეები ინაწილებდნენ სამუშაოს, თითოეული გრძნობდა პასუხისმგებლობას, პრეზენტატორიც არ იყო ერთი და იგივე მოსწავლე, ახლა ვითარება შეიცვალა, მოსწავლეთა ნაწილი არ მონაწილეობს მუშაობაში, ან პრეზენტაციის გაკეთება ეაზარება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოტივაციამ მოსწავლეებში თანდათან იკლო, იმისათვის რომ დავრწმუნებულიყავით, ჩვენ მიერ შენიშნულ ცვლილებას პრობლემის სახე ჰქონდა, მივმართეთ ფოკუსირებულ დაკვირვებას. ვაწარმოებდით დღიურს, სადაც ყოველდღიურად აღვნიშნავდით თითოეული მოსწავლის მოტივაციის ხარისხს. პრობლემა ცხადად გამოიკვეთა. რა შეიძლება იყოს მოტივაციის კლების მიზეზები?

პრობლემის გამომწვევი მიზეზები შესაძლოა იყოს პედაგოგთა ლმობიერება, შინაგანი მოტივაციის ქრობა (ამ ასაკში თანდათან ქრება შინაგანი მოტივაცია), ინტერესების მუდმივი ცვალებადობა, გარე ფაქტორები, ერთმანეთისადმი მიზაძვა, ასაკობრივი თავისებურებები,ერთფეროვანი გაკვეთილები მსგავსი აქტივობებით, გაკვეთილზე საჭირო

მასალის უქონლობა(ლაბორატორიების უქონლობის გამო მოსწავლეებში მოტივაცია მცირდება, ვიყენებთ გაკვეთილზე კომპიუტერსა და პროექტორს, ვატარებთ გაკვეთილებს კომპიუტერულ ლაბორატორიაში, თუმცა, ვფიქრობ, 21-ე საუკუნეში თითოეული საკლასო ოთახი აღჭურვილი უნდა იყოს ისტ-ის რესურსებით). პრობლემის გამომწვევი მიზეზი შესაძლოა იყოს მშობელთა ინერტულობა, მოზარდთა დიდი ნაწილი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობს მშობლის წინაშე(მშობლები გასულ სასწავლო წლებში შედარებით ხშირად მოდიოდნენ სკოლაში და გვეკითხებოდნენ მათი შვილების აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ, თუმცა მიმდინარე სასწავლო წელს მათი აქტიურობა საგრძნობლად შემცირდა).

როდესაც გამოიკვეთა პრობლემა, გადავწყვიტეთ, გამოგვეკვლია მისი გამომწვევი მიზეზები და მათი გადაჭრის გზები მოგვეძებნა, რადგან მოტივაციის კლება მნიშვნელოვნად აუარესებს სწავლის შედეგებს. საჭირო იყო დაგვესახა ღონისძიებები მოსწავლეებში მაღალი აკადემიური დონის შესანარჩუნებლად, რადგან მათ თითქოს დაკარგეს სტიმული, მოქმედების სურვილი, ეს კი ნიშნავს მიღწეულით კმაყოფილებას, წინსვლის შეჩერებას.

ხშირია შემთხვევები, როცა მოსწავლეთა მოტივაცია საშუალო საფეხურზე გარკვეულწილად იკლებს, მათ შორის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებში, ამიტომაც წინამდებარე კვლევა დაეხმარება კოლეგებს მოსწავლეთა მოტივაციის კლებისას მიმართონ ჩვენ მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს. მსწავლეთა მოტივაციის ხარისხი მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზეც მოქმედებს, რაც უფრო მოტივირებულია მოსწავლე, მით უფრო მეტად ვითარდება მისი აზროვნების დონე, მასწავლებელი ცდილობს პროფესიულად დაიხვეწოს და გააუმჯობესოს სასწავლო პროცესი, იზრუნოს წინსვლაზე.

1.2 საკვლევი კითხვა/ ქვეკითხვები

რა იწვევს მოტივაციის დაქვეითებას მე-11 კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის / ბიოლოგიის გაკვეთილებზე და როგორ დავძლიოთ აღნიშნული პრობლემა.

ქვეკითხვები:

- აქვთ თუ არა მსგავსი პრობლემა სხვა საგნის მასწავლებლებს ?
- რამდენად არიან მშობლები ჩართულნი შვილის სწავლა-სწავლების პროცესში?
- რა შესაძლო ფაქტორები განაპირობებს მოსწავლეთა მოტივაციის კლებას,ზრდას?
- რა სტრატეგიებს მივმართოთ მოტივაციის ხარისხის ასამაღლებლედ?

1.3 კვლევის მიზანი

იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რომლებმაც გამოიწვიეს მე-11 კლასის მოსწავლეების მოტივაციის დაქვეითება და მათი გადაჭრის გზების გამოკვეთა.

1.4 კვლევის ამოცანები

- * მოტივაციასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა-გამოყენება
- * კვლევის მეთოდების შესწავლა, დაკავშირება საკვლევ საკითხთან
- * პრობლემის გამომწვევი მიზეზებისა და მათი გადაჭრის გზების ძიება

თავი 2: ლიტერატურის მიმოხილვა

სწავლის მოტივაცია მოსწავლეების წარმატების უმთავრეს ფაქტორს წამოადგენს. მოტივაციის გარეშე შეუძლებელია, რომ სწავლების პროცესი ეფექტიანი იყოს და სწავლება სასურველ საქმიანობად იქცეს. ადამიანის მრავალფეროვანი ბუნებიდან გამომდინარე შეუძლებელია მოტივაციის გამომწვევი "ერთი" მიზეზის დადგენა/. კლასში მოსწავლეები გამოცდილებით, რწმენით, საჭიროებებით, უნარებით, სოციალური თუ კულტურული კონტექსტით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. სწორედ ამიტომ გამოწვეული იმ ფაქტორების მრავალსახეობა, რაც მათი მოტივაციის ამაღლებაზე მოქმედებს. დადასტურებულია, რომ მხოლოდ მაღალი მოტივაციის პირობებშია შესაძლებელი მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევა.

მოტივაციის ამაღლების მიზნით უამრავი თეორეტიკოსი გვთავაზობს თავის მოსაზრებებს, თუმცა მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს პრაქტიკულად მიღწევადი და ეფექტური მეთოდი, რომელიც მას კონკრეტულ სიტუაციაში შედეგს მოუტანს და წამოადგება.

ჯონ კელერისეული მეთოდი მოტივაციის გაკვეთილში ინტეგრირებას (ჩაშენებას) გულისხმობს. მისი მოსაზრების თანახმად : ყურადღება, აქტუალობა, თავდაჯერებულობა და კმაყოფილების განცდა არის პირობა იმისა, რომ ადამიანი მოტივირებული იყოს.

მოსწავლეთა ყურადღების მოპოვება უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა მათი მოტივირებისათვის. ამის მისაღწევად კი შესაძლებელია თუნდაც უბრალო მხედველობითი კონტაქტი მასწავლებლის მიერ მოსწავლისადმი, დამაინტრიგებელი კითხვის დასმა, მოულოდნელი და მოსწავლისათვის საინტერესო ამბის მოყოლა და ა.შ. თუმცა შესაძლებელია ყურადღება და ცნობისმოყვარეობა გაკვეთილისადმი გაღვივებული იყოს, მაგრამ მოტივაცია გაქრება თუ მოსწავლისათვის თემის შინაარსს ღირებულება არ აქვს. გაკვეთილი აქტუალურია მოსწავლისათვის მაშინ, როდესაც მისი თემა პირდაპირ კავშირშია მოსწავლის მიზნებთან და ინტერესებთან, მის სწავლის სტილთან. ამის მისაღწევად კი მასწავლებელი უნდა დაფიქრდეს, თუ როგორ შეიძლება დაკმაყოფილდეს მოსწავლეთა საჭიროებები და როგორ შეიძლება ეს საჭიროებები დაუკავშიროს გაკვეთილის თემას. მასწავლებელმა უნდა მოახდინოს მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით თემის შინაარსის და მეთოდების მოდიფიცირება.

თავდაჯერებულობა მნიშვნელოვანი ფაქტორია მოტივაციის ამაღლებისა და შენარჩუნებისათვის. მისი განცდა კი ჩნდება მოსწავლეში მაშინ, როცა მას უჩნდება წარმატების მოლოდინი. სწორედ მასწავლებელს შეუძლია დაარწმუნოს მოსწავლე საკუთარ შესაძლებლობებში და რომ წარმატება პირდაპირ არის დამოკიდებული მათ ძალისხმევასა და შესაძლებლობებზე.

კმაყოფილების განცდა მოსწავლეში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მოტივაციის ამაღლების მიზნით. როცა მოსწავლე კმაყოფილია მას უჩნდება სურვილი უფრო მეტი ასეთი

შეგრძნების და ემოციების მიღებისა.

ამ მიდგომებით მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეს გაუღვივოს ცნობისწადილი, შეუქმნას გარემო, რათა მოსწავლე გაერკვეს, თუ რა არის მისთვის აქტუალური, დაეხმაროს გახდეს თავდაჯერებული და რაც ყველაზე მთავარია კმაყოფილება მიიღოს სწავლის პროცესისგან.

ფსიქოლოგთა უმეტესობა მოსწავლეებში მოტივაციის გამომწვევ მათავარ ფაქტორად შთაგონებას მიიჩნევს. შთაგონება აზრების და ემოციების მაღალი გრძნობებისკენ ან აქტივობისკენ მიმართვას იგი მოვლენას, რომლის თანახმადაც ადამიანი სხვისი ზეგავლენით მოქმედებს, თუმცა მას აქვს განცდა, რომ იგი საკუთარი სურვილის თანახმად მოქმედებს. ერთადერთი გზა ვინმეს დასარწმუნებლად რაიმე გააკეთოს ის არის, რომ უზიდავს ამ საქმის გაკეთება მოუხდეს. დეილ კარნეგის რჩევით: " ერთადერთი ხერხი, რომლითაც რაღაცის გასაკეთებლად შემიძლია დაგარწმუნოთ - ესაა იმის შემოთავაზება რაც თქვენ გსურთ".

მოსწავლეში მოტივაციის გაღვივების მიზნით მნიშვნელოვანია გულწრფელი ინტერესის გამოჩენა მათ მიმართ, ყურადღებით მოსმენა, მათთვის თავიანთ თავზე საუბრის საშუალების მიცემა, ინტერესების გათვალისწინება, კამათში დათმობა, აზრის პატივისცემა, გულწრფელი დაფასება და შექება, ღიმილი და სახელით ხშირად მიმართვაც კი.

/ შთაგონების საშუალებით ადამიანს შეიძლება გავუჩინოთ დადებითი ან უარყოფითი ილუზიები, ჰალუცინაციები. ცნობილია ჰიპნოტური შთაგონებით პულისის, გულისცემის, სუნთქვის, ჯირკვლების სეკრეციის თუ სხვა სომატური პროცესების რეგულაციის ფაქტები, რომლებიც მიუთითებს, რომ სომატური პროცესები არა ცნობიერი ფსიქიკის მიერ იმართება /.

მოტივაციის გაზრდის მიზნით ხშირად შეიძლება მივმართოთ თვითშეგონებასაც, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს რისამე ძლიერი სურვილი და რომლის დროსაც ადამიანი შთაგონებს საკუთარ თავს, აზრს, ემოციას, განწყობას, რომელიც მის ქცევას და ფსიქოსომატურ პროცესებს წარმართავს.

გარდა ამისა საჭიროა:

- * თბილი დამოკიდებულება და მოსწავლისათვის რელევანტური საკითხების შერჩევა.
- * მათი დაფასება და ჩართულობის უზრუნველყოფა.
- * ღირებულებათა უკუკავშირი.
- * კომპეტენცია - სასწავლო მიზნების ხელმისაწვდომობა.
- * ლიდერობა - მაღალი მოლოდინები გაკვეთილის აგებით, შეფასებით და მხარდაჭერით.

* კმაყოფილება - სწავლით სარგებლობა და გამოყენება.

მასწავლებლის ქცევა ,მისი გადმოცემის უნარი და მოსწავლესთან არაფორმალური ,პოზიტიური, შედეგზე ორიენტირებული სასწავლო გარემო გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში.

მოტივაცია არის სტიმული,ქმედება,წახალისება, ძალა ,რომელიც იწვევს მოსწავლის სურვილს,იმოქმედოს - ისწავლოს,მიაღწიოს შედეგს.ამ მიმართულებით არსებობს ფაქტორთა ერთობლიობა ,რომლებიც კომპლექსურად ახდენენ გავლენას მოტივაციის ამაღლებაზე .ეს ფაქტორებია : ა) მოსწავლის, ბ) მასწავლებლის, გ) შინაარსის და დ) გარემოს ფაქტორი.

განასხვავებენ გარეგან და შინაგან მოტივაციას.გარეგანი მოტივაციის შემთხვევაში მოსწავლე მიმართულია წახალისების მიღებისაკენ,უარყოფითი შეფასების ან სასჯელის თავიდან არიდების სურვილისაკენ.შინაგანი მოტივაციის შემთხვევაში კი აღიარების ფაქტორი მინიმუმია,აქცენტი გაკეთებულია ცნობისმოყვარეობაზე,გამოწვევებზე,სოციალურ ინტერაქციაზე.ის ამა თუ იმ საგნის შესწავლის სურვილიდან გამომდინარეობს ,დამოკიდებულია მოსწავლის თანდაყოლილ ინტერესებზე, საკუთარი თავის სრულყოფის მოთხოვნაზე .მათი მიზანი ჯილდოს თუ დადებითი შეფასების მიღება არაა.სწორედ შინაგანი მოტივაციის ამაღლება უნდა უზრუნველყოს მასწავლებელმა და არ დაიშუროს ამისათვის არანაირი ძალისხმევა.თითოეულ მოსწავლეს სწავლაზე ორიენტირებულ საზოგადოების ნაწილად უნდა ვაგრძნობინოთ თავი, შევუქმნათ ღია, პოზიტიური ატმოსფერო საკუთარი მისწრაფებებისა და მონაცემების გამოსავლენად. ამის მისაღწევად მნიშვნელოვანია დადებითი უკუკავშირი, ქება, წახალისება, აუცილებლად განმავითარებელი შეფასება, რომელიც მოსწავლის მიღწევებს გამოკვეთავს.წარუმატებლობა უნდა შეფასდეს სწავლის განუყრელ კომპონენტად და აუცილებლად განიხილებოდეს დადებითი კუთხით (ანუ როგორც შეცდომების გამოსწორების საშუალება). მოსწავლეს უნდა დავუსახოთ მარტივი, შესრულებადი ამოცანები და ნაბიჯ-ნაბიჯ ავუმაღლოთ ცოდნა , შევძინოთ სხვადასხვა უნარები. გავითვალისწინოთ თემატიკის შერჩევისას მოსწავლეთა ინტერესები, მათი ასაკი.

მოტივაციის სტიმულირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეზე არჩევანის თავისუფლების, დამოუკიდებლობის მინიჭებას.ამით მათ გავლენივით თანამონაწილეობისა და ჩართულობის შეგრძნებას. მოსწავლე უნდა გრძნობდეს მხარდაჭერას , მზრუნველობას, თანაგრძნობას, სიმპატიას. ღია, თავისუფალი, მყუდრო, ენთუზიაზმსა და პოზიტიურ დამოკიდებულებაზე აგებული სასწავლო გარემო ხელს უწყობს კუთვნილების შეგრძნების გავლენას , რაც ძალზე დადებითად აისახება შინაგანი მოტივაციის ამაღლებაში.

დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებში წარმატების მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა მართებული სასწავლო სტრატეგიების დანერგვით.მაგ: ამა თუ იმ აქტივობის გეგმის შემუშავებით, ჩანაწერების გაკეთებით, შავი ნამუშევრების გადათეთრებით და ა.შ.

მოსწავლისათვის მამოტივირებელი შეიძლება იყოს მასწავლებლის ფაქტორი , კერძოდ

მასწავლებლის მიერ კონკრეტული საგნის მაღალ დონეზე ფლობა.მოსწავლე ელის ,რომ საგაკვეთილო პროცესის დროს ის მოისმენს ახალს, მიიღებს პასუხს კითხვებზე, გრძნობს მასწავლებლის მოტივაციას - გადასცეს მოსწავლეს ახალი ცოდნა.

მოსწავლისათვის მნიშვნელოვანია ისეთი საგაკვეთილო პროცესი, სადაც მას (მასწავლებელი) იცნობენ , პატივს სცემენ, აფასებენ მის ინტერესებს.იგი სწავლობს უკეთესად ,როცა მასწავლებელი მშვიდად წარმართავს საგაკვეთილო პროცესს, იზიარებს მოსწავლის შეხედულებებს, არ განასხვავებს დაბალი და მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებს. საგაკვეთილო პროცესის წარმართვისას უმჯობესია მასწავლებელი იყენებდეს სხვადასხვა ტექნიკას , მაგ: თამაშები, სიტუაციური ანალიზი და ა.შ. სადაც ყველა მოსწავლე თანაბრად იქნება ჩართული.

მასწავლებელი ხშირად უნდა იყენებდეს განმავითარებელ შეფასებას.მოსწავლეები რეალურად აღიქვამენ შეფასებას იმ შემთხვევაში, თუ კარგად იციან შეფასების მიზანი, კრიტერიუმები, რაშიც ფასდებიან .ასეთი შეფასება ნაკლებად სტრესულია .

მასწავლებელი ყოველთვის უნდა იყოს ორიენტირებული ,რათა მიიპყროს მოსწავლის ყურადღება,რასაც მოახერხებს მისი ინტერესების გათვალისწინებით,მათი ძლიერი მხარეების გამოყენებით.გასათვალისწინებელია მოსწავლესა და მასწავლებელს შორის დადებითი, დაბალანსირებული ურთიერთდამოკიდებულება ,რაც საკმაოდ კარგად მუშაობს მოტივაციის ამაღლებისათვის .მოსწავლემ არასოდეს არ უნდა იგრძნოს მასწავლებლის არათანაბარი მიდგომა.

მოტივაციის ამაღლებაზე დადებითად მოქმედებს თემის შინაარსი, რომელიც საგაკვეთილო პროცესში განიხილება. თემა შეძლებისდაგვარად უნდა მოერგოს მოსწავლეთა ინტერესების სფეროს, იყოს გასაგები და საინტერესო.მოსწავლეს უნდა მიეცეს არჩევანის საშუალებაც,თუ როგორი ფორმით შეასრულოს დავალება .

მოსწავლეებში მოტივაციის დონეს ზრდის ისეთი სტრატეგიები ,რომელიც მიმართულია შემოქმედებითობის და კრიტიკული აზროვნების განვითარებისაკენ.ამ დროს მოსწავლე სვავს კითხვებს კვეთავს პრობლემებს, აკავშირებს მასალას ცხოვრებისეულ მოვლენებთან , ისახავს მიზანს, რაც უფრო მეტად უზრდის ინტერესს და შესაბამისად მოტივაციას.

მნიშვნელოვანია საგაკვეთილო პროცესის დროს შექმნილი გარემო რაშიც მასწავლებლის როლი ძალიან დიდია.გარემო უნდა იყოს მშვიდი,არასტრესული, თანამშრომლობითი, მოსწავლეები უნდა იყვნენ დაკავებული ერთობლივი დავალებებითა და პროექტებით .მოსწავლის მოტივაცია უფრო მაღალია, როცა იგი მასწავლებლისგან გრძნობს მაღალ მოლოდინს.მოსწავლე მოტივირებულია მიაღწიოს მიზანს და მიიღოს ამისათვის შექება /გარეგანი მოტივაცია/.

მხარდაჭერისკენ მიმართული გარემო უმნიშვნელოვანესია მოტივაციის ამაღლებისათვის

.ამ დროს მოსწავლე მუდმივად იღებს მასწავლებლისაგან უკუკავშირს.

ამ მიდგომების გათვალისწინებით და გამოყენებით მასწავლებელი შეძლებს მოსწავლეს მისცეს გამოცდილება და მართოს მისი ემოციები, აამაღლოს შინაგანი მოტივაცია და შეუნარჩუნოს ბოლომდე.

თავი 3: კვლევის ინსტრუმენტები და შერჩევის სტრატეგია

3.1 კვლევის მეთოდები

როდესაც ჩამოვყალიბებთ საკვლევ კითხვას და მიზანი, დავდექით ახალი ამოცანის წინაშე-- კვლევის რომელი მეთოდებისათვის მიგვემართა.

როგორც ცნობილია, სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინაში რაოდენობრივი კვლევის მეთოდები პოპულარულია, რადგან მიიჩნევენ, რომ ამ მეთოდით მოპოვებული მონაცემები საიმედოა, მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ რაოდენობრივი კვლევის მეთოდები „ობიექტური რეალობის წვდომის უკეთ შესაძლებლობას იძლევა“. რაოდენობრივი მონაცემების მოპოვების მთავარი ინსტრუმენტი მასობრივი გამოკითხვაა (რომელიც გულისხმობს კითხვარის შედგენას). „ობიექტური რეალობის უკეთ წვდომის“ მიზნით შევადგენთ კითხვარი როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისა და მშობლებისათვის. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანი იყო განგვესაზღვრა რაოდენობრივი მ ჩვენებელი მოტივაციის კლების თვალსაზრისით. გადავწყვიტეთ, გამოგვეყენებინა როგორც დახურული, ასევე ღია შეკითხვები. მართალია, დახურულ შეკითხვას აქვს გარკვეული უპირატესობები, მაგრამ ამ ტიპის კითხვები არ იძლევა ჩაღრმავების საშუალებას. ღია შეკითხვის უპირატესობა ისაა, რომ ეხმარება მკვლევარს უფრო დეტალური ინფორმაციის მოპოვებაში. (ინფორმაციის მოპოვების შემდეგ მივმართეთ მონაცემთა ანალიზს, რომელიც მოიცავს სამ საფეხურს: მონაცემთა ორგანიზება და გაწმენდა, მონაცემების აღწერა, ჰიპოთეზების შემოწმება; შეკითხვებზე პასუხები გადავიყვანეთ რაოდენობრივ მ ჩვენებელში)

გარდა რაოდენობრივი მეთოდებისა, გამოვიყენეთ კვლევის თვისებრივი მეთოდები საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით. რესპოდენტებს საშუალება ეძლევათ, ახსნან, რატომ ფიქრობენ ასე. კვლევის ეს მეთოდი გვაძლევს საშუალებას, შევისწავლოთ მოვლენის მიზეზები, ვუპასუხოთ კითხვებს: „რატომ?“, „რამდენი?“

თვისებრივი მეთოდები მრავალ კვლევით ტექნიკას აერთიანებს („სიღრმისეული ინტერვიუ“, „დღიურების თვისებრივი შესწავლა“, ფოკუს-ჯგუფი და ჯგუფური ინტერვიუ, დაკვირვება და სხვა) ჩვენ გამოვიყენეთ სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და დაკვირვების ტექნიკა.

„თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია“ სიღრმისეული ინტერვიუ, მისი მიზანია, გავიგოთ რესპოდენტების მაქსიმალურად დეტალური მოსაზრება. შევადგინეთ სადისკუსიო გეგმა --სასურველი თანამიმდევრობით სავარაუდო კითხვები, რომლებიც ემყარება განსახილველი თემებისა და საკითხების შესწავლას. სადისკუსიო გეგმა გვეხმარება ვაკონტროლოთ ინტერვიუს პროცესი. ინტერვიუს მსვლელობისას საშუალება გვძლევს წამოვიწყოთ და განვავითაროთ ახალი თემები, რომლებიც აქტუალურია გამოკვლევისათვის. სიღრმისეული ინტერვიუ ღია კითხვებზე დაყრდნობით წარიმართა.

მივმართეთ ფოკუსირებულ დაკვირვებას, ამ მეთოდის მთავარი ღირსება ისაა, რომ ის ბუნებრივ გარემოში ხორციელდება.

ამრიგად, რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების ერთობლივი გამოყება საშუალებას გვაძლევს უფრო სრულად დავინახოთ ის პრობლემები და საკითხი, რომლებსაც შევისწავლით.

3.2 კვლევის ვადები

აქტივობა	10/2018	11- 12/2018	01/2019	02/2019	03/2019	04/2019	05/2019
პრობლემის იდენტიფიცირება	X						
ლიტერატურის დამუშავება		X					
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება		X					
მასწავლებლებისა და მშობლებისათვის კითხვარების შედგენა		X					
მოსწავლის კითხვარების შედგენა, გამოკითხვა და ინტერვიუ		X					
პირველადი მონაცემების ანალიზი		X					
ინტერვენციების განხორციელება		X	X	X	X	X	
ინტერვენციების შედეგების ანალიზი							X
პრეზენტაცია სასკოლო საზოგადოებასთან							X

თავი 4:შეგროვებულ მონაცემთა ანალიზი და შედეგები

4.1. მონაცემთა ანალიზი

კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების ერთობლივი გამოყენება უკეთ გამოკვეთს პრობლემას, ხოლო მიღებული მონაცემთა ანალიზი გადაჭრის გზებამდე მიგვიყვანს. კვლევის ორივე მეთოდის გამოყენებით შევადგინეთ კითხვარები მე-11 კლასის მოსწავლეებისათვის, მათი მშობლებისთვის, ამ კლასში შემსვლელი მასწავლებლებისათვის. ასევე ჩავატარეთ სიღრმისეული ინტერვიუ მე-11 კლასის მოსწავლეებთან. მოსწავლეებს ეს სტრატეგია ძალიან მოეწონათ, დიდი ინტერესით ჩაერთნენ პროცესში. გამოავლინეს პასუხისმგებლობა, მათი მსჯელობა იყო გულწრფელი და გონივრული. ინტერვიუს მსვლელობისას ყურადღება გავამახვილეთ, რამდენად საინტერესო და საჭირო იყო მათთვის ქართული ენისა და ლიტერატურის და ბიოლოგიის გაკვეთილები. მიღებული მონაცემები განვიხილეთ, შევაჯერეთ და შემდეგი სურათი მივიღეთ.

მასწავლებელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სწორად დაგეგმილი გაკვეთილი, მასში თანამედროვე ტექნოლოგიების ჩართვა, ლაბორატორიული სამუშაოები, პოზიტიური ურთიერთობა მოსწავლეებს შორის, ასევე მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვნად ამაღლებს მოტივაციას. დადებითად მოქმედებს მოტივაციის ამაღლებაზე პროექტები და ღონისძიებები, რადგან მათში მოსწავლეები ერთვებიან ინტერესების შესაბამისად. პედაგოგები მიიჩნევენ, რომ მოსწავლეებს მასწავლებელმა უნდა აუხსნას, საგნის შესწავლით მიღებული ცოდნა როგორ გამოიყენოს პრაქტიკაში. ამით მათში მეტ ინტერესს გააღვივებს. პედაგოგთა უმრავლესობა თვლის, რომ ჯგუფური მუშაობა დადებითად მოქმედებს მოტივაციის ხარისხზე, აქვე აღნიშნავენ, რომ სკოლაში პოზიტიური გარემოა შექმნილი, ასეთივე ურთიერთობაა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. თუმცა მიიჩნევენ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სხვადასხვა სახის რესურსის უფრო ხშირი გამოყენება მეტად საინტერესოს გახდის საგაკვეთილო პროცესს(განსაკუთრებით კი ბიოლოგიის,ქიმიის ,ფიზიკის გაკვეთილებს). ამიტომ კარგი იქნებოდა, რომ თითოეულ კლასში ერთი კომპიუტერი მაინც ყოფილიყო, რაც ბევრად გაადვილებდა აქტიური გაკვეთილის დაგეგმვასა და გაზრდიდა მოსწავლეთა მოტივაციას.

მოსწავლეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია(თუმცა არა უმნიშვნელოვანესი) განმსაზღვრელი შეფასება, რადგან მათი მოტივაციის ხარისხზე დადებით გავლენას ახდენს როგორც დაბალი, ისე მაღალი ქულა. აქვე აღნიშნავენ, რომ თითოეული მასწავლებელი აქტიური მსმენელია, საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების, გამოთქმის უფლება ყველას აქვს. ჩანს, რომ მათი მოტივაციის კლების მიზეზი აღნიშნული ფაქტორები არ ყოფილა. მიიჩნევენ, რომ სკოლაში პოზიტიური გარემოა შექმნილი, სუსტი მოსწავლეები მათთვის დემოტივაციის საფუძველი არ არის, სწავლაში ხელისშემშლელ გარე ფაქტორად ასახელებენ ინტერნეტს.

მოსწავლეთა დიდი ნაწილი ამბობს, რომ სწავლობს საგნებს ინტერესების შესაბამისად. ისინი მიიჩნევენ, რომ არ არის საჭირო დაუთმონ დიდი დრო იმ საგნების შესწავლას, რომლებიც არ გამოადგებათ მომავალი პროფესიის დასაუფლებლად. მათ მოსწონთ აქტიური გაკვეთილები, მათი აზრით, მე-11, მე-12 კლასებში საგნები უნდა ისწავლებოდეს საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად. მათი მსჯელობიდან გამოიკვეთა, რომ სურვილი აქვთ აღნიშნულ კლასებში საგნების სწავლება იყოს დიფერენცირებული.


მოსწავლეები დიდ ინტერესს ავლენენ სხვადასხვაგვარი პროექტებისა და ღონისძიებების მიმართ, სწორედ ასეთი წარმოდგენიან ბიოლოგიის გაკვეთილები-დატვირთული მრავალფეროვანი, მათ ინტერესებზე მორგებული აქტივობებით, კვლევებით, არგუმენტირებული მსჯელობებით, პრეზენტაციებით გამდიდრებული. აღნიშნავენ, რომ მათი ჩართვით დაგეგმილი ღონისძიებები გაზრდის მოტივაციის, პასუხისმგებლობისა და ჩართულობის ხარისხს.

მე-11 კლასის მოსწავლეთა მშობლების უმრავესობა აღნიშნავს, რომ წინა წლებში უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში, უფრო მეტად ინტერესდებოდნენ შვილის აკადემიური მოსწრებით, ზოგიერთი მათგანი თვლის, რომ ზედმეტი თავისუფლება მიანიჭეს შვილებს, თუმცა, მათი აზრით, ბავშვის განვითარებისთვის ეს აუცილებელი იყო.

1. მშობლების ჩართულობის ხარისხი გასულ სასწავლო წელს



2. მშობელთა ჩართულობის ხარისხი მიმდინარე სასწავლო წელს




3. რამდენი პროცენტი მეცადინეობდა აქტიურად გასულ სასწავლო წელს ბიოლოგიაში



4. რამდენი პროცენტი მეცადინეობდა აქტიურად მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში ბიოლოგიაში



5. რამდენად ხშირად მიმართავენ მასწავლებლები სწავლების პროცესში კლასგარეშე და საკლასო ღონისძიებებს



მიგნებები

კვლევის შედეგების ანალიზმა აშკარად გამოკვეთა შემდეგი მიგნებები:

* მე-11 კლასის მოსწავლეების დიდი ნაწილი ვერ აცნობიერებს სკოლიდან მიღებული ზოგადი განათლების მნიშვნელობას და საჭიროებას და თვლიან, რომ მათ სჭირდებათ მხოლოდ ის საგნები, რომლებიც საჭიროა მათთვის ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად

* მაღალ კლასებში მოსწავლეთა მოტივაციაზე და მის შენარჩუნებაზე ზრუნვას შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა.

* მოტივაციის ასამაღლებლად და შენარჩუნების მიზნით გაკვეთილები უნდა წარიმართოს ისეთი აქტივობებით, რომლებიც მორგებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესებზე და საჭიროებებზე.

* აუცილებელია საგაკვეთილო პროცესში მოხდეს ყველა მოსწავლის ჩართულობა შეძლებისდაგვარად, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

თავი 5: ინტერვენციების აღწერა და მისი შედეგები

5.1 ინტერვენციების აღწერა

კვლევის შედეგების ანალიზმა აშკარად აჩვენა, რომ მოსწავლეთა ინტერესს იწვევდა ძირითადად ის საგნები, რომლებიც მათ სჭირდებოდათ ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად, ისინი თვლიდნენ, რომ საგანთა უმრავლესობა, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით არ იყო საჭირო, რომ ესწავლათ და რომ ეს მათთვის ზედმეტი ტვირთია. ძირითადად მომხრეები იყვნენ დიფერენცირებული სწავლების და ფიქრობდნენ, რომ დრო ტყუილად არ უნდა დეახარჯათ ისეთი საგნების სწავლებაში, რაც მათ მიზნის მისაღწევად არ სჭირდებოდათ. ასევე გამოიკვეთა ისიც, რომ გაკვეთილები მათთვის თითქოს ერთფეროვანი გახდა და აშკარად საჭიროებდა სიახლეებს.

1. პირველი რაც გადაწყვეტიტე გამეკეთებინა იყო ის, რომ მოსწავლეებისათვის დამენახვებინა ზოგადი განათლების საჭიროება და სკოლის როლი ზოგადი განათლების მიღებაში. ეს გადაწყვეტილება მივიღე იქიდან გამომდინარე, რომ მე ვარ მე-11 კლასის დამრიგებელი და ჩემთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ვიზრუნო ჩემი მოსწავლეების განვითარებაზე და წინსვლაზე.

მე-11 კლასში დავგეგმე საგაკვეთილო დისკუსია, თემაზე- თუ საიდან უნდა მიიღოს მოსწავლემ ზოგადი განათლება და რა საჭიროა იგი მისი პიროვნული განვითარებისათვის. მოსწავლეებს წინასწარ განვუცხადე ამის შესახებ და ვთხოვე დაფიქრებულიყვნენ ამ საკითხთან დაკავშირებით, დაესვათ კითხვები, მოეყვანათ არგუმენტები და ა.შ.

დისკუსიამ საკმაოდ "ხმაურიანად" ჩაიარა. აშკარად გამოჩნდა, რომ თემა აქტუალური იყო და მოსწავლეები დააინტერესა ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობამ. თანდათან აქტიური საუბრისას გამოიკვეთა, რომ რთული იქნებოდა სხვადასხვა საგნებში ზოგადი ცოდნის მიღება სკოლის გარეშე და ეს ძალიან დიდ დროს წაიღებდა. მოსწავლეები აქტიური მსჯელობით მიდიოდნენ იმ დასკვნამდე, რომ სკოლის გარეშე ეს პროცესი ძალიან რთული და შეიძლება ითქვას მიუღწევადი იქნებოდა. ამის პარალელურად მოვიყვანე მაგალითად კოგნიტური განვითარება და ბიოლოგიურად ავუხსენი მოსწავლეებს, რომ ბავშვის ტვინი თანდათანობით ვითარდება და რომ ამ განვითარების პროცესს ხელს უწყობს გონებრივი მუშაობა. სასწავლო მასალა კი ისეა შერჩეული, რომ თანდათანობით რთულდება რაც ეტაპობრივად ათვისებას შედარებით მარტივს ხდის.

დისკუსიის დროს შევხვით ასევე სასწავლო პროექტებსაც, კონკრეტულად ეტალონს და განვიხილეთ, რამაც მოსწავლეებს მკვეთრად დაანახა, რომ შეუძლებელი იქნებოდა ამ პროექტის მოგება, თუ არ ექნებოდათ სასკოლო პროგრამის შესაბამისი ცოდნა. აქვე გადაწყვეტიტეთ, რომ აქტიურად ჩავრთულიყავით ამ პროექტისათვის მზადებაში და მიზნად დავისახეთ პირველ რიგში მონაწილეობა მიგველო ეტალონში და შეძლებისდაგვარად

დავუფლებოდით საფინანსო ადგილებს.დავეგემეთ სამეცადინო განრიგიც.

პროექტისათვის მზადების პროცესი მთლიანად ავიღე საკუთარ თავზე.გადავწყვიტე თითოეული საგნის პედაგოგთან მეთანამშრომლა ,ვთხოვე მოემზადებინათ ეტაპობრივად განვლილი მასალის შესაბამისი კითხვები და დავალებები. მეცადინეობების დროს ვუყურებდით ეტალონის განვლილ გადაცემებსაც და ვიყენებდით თამაშისათვის საჭირო სტარტეგიებსაც. გარკვეული პერიოდულობით ვატარებდით ეტალონის კონკურსს საკლასო გარემოში და ვავლენდით გამარჯვებულსაც.ამ მეცადინეობების პერიოდში აშკარად იკვეთებოდა მოსწავლეთა სუსტი და ძლიერი მხარეები რასაც შემდგომი მეცადინეობების დაგეგმვისას ვითვალისწინებდით.

* კითხვარების შედეგების გაანალიზების შემდეგ გადავწყვიტე შემეცვალა ბიოლოგიის გაკვეთილზე სწავლების მიდგომები. მოვახდინე საგაკვეთილო პროცესის დეტალური გაანალიზება და დავიწყე გაკვეთილების დაგეგმვა განსხვავებული სტრატეგიებით,რაც ხელს შემიწყობდა გამომეწვია მოსწავლეთა ინტერესი კონკრეტულად ჩემი საგნის მიმართ,გამეზარდა მათი ჩართულობა ,რაც დამეხმარებოდა მათი მოტივაციის შეცვლაში ,რა თქმა უნდა დადებითი კუთხით.აქცენტი გადავიტანე საგაკვეთილო პროცესში გამომეყენებინა ბიოლოგიის სწავლების ეფექტური სტრატეგიები და მიდგომები,რაც მომცემდა საშუალებას,რომ გაკვეთილი დამეგეგმა ისე,რომ გამეთვალისწინებინა თითოეული მოსწავლის ინტერესი და შესაძლებლობები და თანაც ისე,რომ არ ავცელილიყავი ეროვნულ სასწავლო გეგმას.

გადავწყვიტე ,რომ ბიოლოგიის გაკვეთილები დამეტვირთა მათთვის საინტერესო მრავალფეროვანი აქტივობებით,რომელიც აუცილებლად იქნებოდა გაკვეთილის მიზნის შესაბამისი ,მოსწავლე აქტიურად იქნებოდა ჩაბმული პროცესში,ამისათვის საჭირო იყო თვალსაჩინოებების და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მიზნობრივი გამოყენება,ასევე საჭირო იყო გაკვეთილის დაგეგმვისას შიდა და საგანთაშორისი კავშირების გათვალისწინება.ამ ყოველივეს განხორციელებაში დამეხმარა ბიოლოგიის სწავლების თანამედროვე სტრატეგიების გამოყენება.

2. ერთ-ერთი ასეთი აქტივობა,რომელიც ჩავრთე საგაკვეთილო პროცესში იყო ვირტუალური ლაბორატორია-ეკრანზე მიმდინარე პროცესი,რომელიც ასახავს რეალურ ექსპერიმენტებს,კერძოდ ბიოლოგიურ,ქიმიურ, ფიზიკურ მოვლენებს.ამ ლაბორატორიას შეუძლია ჩაანაცვლოს რეალური ლაბორატორიული სამუშაოები და თვალსაჩინო გახადონ მიმდინარე პროცესები,რომელთა დანახვაც ადამიანის თვალისათვის რეალობაში შეუძლებელია.ასეთი მიდგომებით მოსწავლეს შეუძლია ააგოს ახალი ცოდნა საინტერესო და სახალისო გარემოში ,რაც ფაქტია ,რომ ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და თუ სწორად გამოვიყენებთ ასეთ მეთოდებს მოსწავლეთა შედეგიც ამაღლდება.ვირტუალური ლაბორატორიები ბევრად აადვილებს ცოდნის შეძენას რთულ საკითხებთან დაკავშირებითაც კი.ისინი აძლევენ მოსწავლეებს საშუალებას,რომ მათ რამოდენიმეჯერ გაიმეორონ

ერთიდაიგივე პროცესი უკეთესი შედეგების მიღწევის მიზნით.

კონკრეტულად ასეთი მეთოდი გამოვიყენე ცილების ბიოსინთეზის შესწავლისას,რომლის წარმოდგენაც გონებაში თვალსაჩინოების გარეშე ფიზიკურად შეუძლებელია.მოსწავლეებს მივეცი ვირტუალური ლაბორატორიის მისამართი/colorado.edu/,სადაც მათ ჩემი დახმარებით შეძლეს დაკვირვებოდნენ და საკუთარი თვალთ ენახათ ცილის ბიოსინთეზის მიმდინარე ეტაპები.მოსწავლეები დავყავი ჯგუფებად რაც მათ აშკარად გაუმარტივებდა შესწავლის პროცესს,შეუნარჩუნებდა მოტივაციას და ასევე გაზრდიდა შესწავლილი მასალის ხარისხს.აშკარა იყო მათი ინტერესი ,თითქმის მოსწავლეთა 90 % აქტიურად ჩაერთო გაკვეთილში.სვამდნენ შეკითხვებს,აკავშირებდნენ შესრულებულ სამუშაოს წინარე ცოდნასთან,ახდენდნენ ახლის გამოკვეთას და უკავშირებდნენ ამ სიახლეებს ყოველდღიურ ცხოვრებას.დასასრულს კი მათ დავხმარე შეფასებინათ საკუთარი თავი წინასწარ,მათთან ერთად შექმნილი შეფასების კითხვარის საშუალებით , და შეედარებინათ მიღებული პასუხები სწორ ვარიანტებთან.ამ აქტივობის შედეგად მოსწავლეთა დიდი ნაწილი უკვე სრულყოფილად აღწერდა ცილის სინთეზის მიმდინარეობის ეტაპებს.

3. საგაკვეთილო პროცესში გამოვიყენე ასევე მეთოდი მანიპულაციები.ეს არის სხვადასხვა მასალისაგან შექმნილი,განსხვავებული ზომისა და ფორმის ფერადი საგნები,რომლებიც სწავლების პროცესში შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა თვალსაჩინო მოდელების დასამზადებლად:მაგალითად უჯრედის ორგანოიდების მოდელების ასაგებად,მცენარეული და ცხოველური უჯრედების მოდელების ასაგებად,მიტოზის და მეიოზის თვალსაჩინო მოდელების დასამზადებლად,გენების ასაწყობად და ა.შ. ეს მეთოდი გამოვიყენე ისეთი მოსწავლეების ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით,რომლებიც არ ავლენენ განსაკუთრებულ ინტერესს საგნის მიმართ ამ საგნის სირთულიდან გამომდინარე. ამ მიდგომამ არააქტიური,დაბალი აკადემიური მოსწავლეთა ინტერესი და ჩართულობის მაღალი ხარისხი გამოიწვია,მათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება და წარმატების მოლოდინი გაუჩნდათ.ეს კი მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეში მოტივაციას.ამ მეთოდის გამოყენებით ,მოსწავლეებმა შეძლეს მიტოზის მოძრავი სქემის შექმნა ,რომელიც ამ თემის შესწავლისას საუკეთესო თვალსაჩინოებად გამოგვადგა.

4. მოტივაციის ამაღლების მიზნით ასევე ხშირად მივმართავდი სწავლების პროცესში მეთოდს:ვებ-ძიება.იგი გულისხმობს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დავალებების სერიის შექმნას ამა თუ იმ საკითხზე ინფორმაციის მოსაძიებლად.ეს აქტივობა კვლევაზეა ორიენტირებული.იგი არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის მოპოვებას და გადმოკოპირებას ვებ-საიტიდან.მოსწავლეს ეძლევა დავალება ,რომელიც აძლევს მას საშუალებას გამოიყენოს და განივითაროს შემოქმედებითობისა და პრობლემის გადაჭრის უნარები.აქ წინასწარ დასმული შეკითხვების პასუხები პირდაპირ არაა მოცემული ,ამიტომაც საჭიროა მოსწავლეებმა გამოიყენონ თავიანთი კრიტიკული აზროვნება და შემოქმედებითი უნარები,რათა მიაგნონ პრობლემების გადაჭრის გზას.

მოსწავლეებს ვაძლევდი კონკრეტულ დავალებას.წინასწარ დავალების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ჯგუფებად ან წყვილებად ვყოფდი,რაც მათ თანამშრომლობის უნარს უვითარებს.ასევე ვარჩევდი ისეთ დავალებებს ,რომლებსაც თითოეულ მოსწავლეს ინდივიდუალურად ვარგებდი,სადაც გათვალისწინებული მქონდა მათი ინტერესები,შესაძლებლობები ,უნარები .

5.იმისათვის რომ მოსწავლეთა ინტერსი და ჩართულობა უფრო მეტად გაზრდილიყო საგნის მიმართ შევეცადე დამეტვირთა საგაკვეთილო პროცესები ისეთი აქტივობებით ,რომლებიც კონკრეტულად მოსწავლეთა ჩართულობაზე და თანამშრომლობაზე იქნებოდა ორიენტირებული.კარგად ვიცით,რაც უფრო აქტიურია საგაკვეთილო პროცესი და მოსწავლეები დაკავებულნი არიან გაკვეთილის მსვლელობისას მიზანი შედარებით ადვილად მიღწევადია.

როდესაც მოსწავლეებთან ინტერვიუ ჩავწერეთ და ვისაუბრეთ,თუ რა იქნებოდა მათთვის საინტერესო და როგორი წარმოდგინათ ბიოლოგიის გაკვეთილები ,უმეტესობის აზრით გამოიკვეთა ,რომ საინტერესო იქნებოდა სხვადასხვა სასწავლო პროექტების განხორციელება,ასევე აქტიური პრეზენტაციები ,ლაბორატორიული კვლევები,რომლებსაც თვითონ მოსწავლეები განახორციელებენ და ა.შ.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით დავგეგმე შემდეგი ინტერვენცია,რომელიც სასწავლო პროექტს მიეკუთვნებოდა და რომლის იდეაც ამ დაავადების პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე წამოვიდა.ყველასათვის კარგადაა ცნობილი ვირუსული ინფექცია C-3ჰეპატიტი,რომელიც შიძლება ითქვას გლობალურ პრობლემად იქცა.ჩვენს ქვეყანაში კი დაინერგა პროგრამა ,რომლის ფარგლებშიც ხდებოდა ამ დაავადების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.სწორედ ეს პრობლემა გამოვიყენე და დავგეგმე მოსწავლეებთან ერთად შემდეგი ინტერვენცია- თავდაპირველად გავმართეთ დისკუსია,სადაც ვისაუბრეთ კონკრეტულად ამ ვირუსული ინფექციის სპეციფიკაზე და ზოგადად საზოგადოების დამოკიდებულებაზე ამ დაავადების მატარებელი ადამიანების მიმართ.ისაუბრეს ,თუ რა იყო მათი ასეთი დამოკიდებულების მიზეზი და რამ გამოიწვია ეს. საკლასო დისკუსიამ გამოკვეთა მიზეზი,რომ ადამიანები სათანადოდ არ იყვნენ ინფორმირებულნი ამ დაავადების გამომწვევი მიზეზების შესახებ.მათ გადაწყვიტეს მოეხდინათ საზოგადოების ინფორმირება აღნიშნულ საკითხზე. მოსწავლეებთან ერთად ვიმსჯელეთ ამ საკითხის ირგვლივ და დავსახეთ გეგმა ,რომელიც მათ უნდა განეხორციელებინათ,მე კი ამ პროცესს გავაკონტროლებდი,რა თქმა უნდა ვაძლევდი შესაბამის და საჭირო ინფორმაციას და მითითებებს .დავგეგმეთ,თუ რა აქტივობები იყო საჭირო და რა უფრო დაეხმარებოდათ მოსწავლეებს დასახული მიზნის მიღწევაში.ასევე ინტერესების შესაბამისად გადავანაწილე შესასრულებელი სამუშაოები.პროექტი საკმაოს წარმატებულად განხორციელდა და აშკარა იყო მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია.

6. შემდეგი ინტერვენცია,რომელიც განვახორციელე იყო ჩემ მიერ შექმნილი მოკლე


დოკუმენტური ფილმის ჩვენება -ალკოჰოლის,ნარკოტიკის და თამბაქოს მავნე ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე.ჩვენების შემდეგ მოსწავლეებმა დაგეგმეს ,რომ ეს ფილმი ეჩვენებინათ სხვა კლასის მოსწავლეებისათვის და მოეწყოთ პრეზენტაცია და თითოეული სიუჟეტის,თუ ინტერვიუს ძირეული განმარტება. განხორციელებამდე მათ გადახედეს ფილმს და გადაწყვიტეს,რომ უფრო მეტად გაეფორმებინათ და გაემდიდრებინათ ახალი ინფორმაციებით.მათ განსაკუთრებული შემართებით და ხალისით განახორციელეს ეს აქტივობა.მიზანად დაისახეს,რომ მოსწავლეებზე ამ ფილმის ნახვას მოეხდინა განსაკუთრებული გავლენა და მცირედით მაინც აეცილებინათ მოსწავლეებში ამ მავნე ჩვევებით გამოწვეული პრობლემები.

სასკოლო ჩვენებების შემდეგ მათ სურვილი გამოთქვეს და სამომავლოდ დაგეგმეს ,რომ ამ საკითხთან დაკავშირებით პრეზენტაცია და ფილმის ჩვენება მოეწყოთ სხვადასხვა სკოლებშიც და ასევე ქალაქის მუნიციპალიტეტშიც და პოპულარიზაცია გაეწიათ ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის.მათ შეადგინეს გეგმა და აქტიური მზადება დაიწყეს დაგეგმილი აქტივობის განხორციელებისათვის.


ინტერვენციის შედეგები

ინტერვენციების განხორციელების შემდეგ განმეორებით მივმართე ინტერვიუს ფოკუსჯგუფთან,ასევე გამოვიყენე დაკვირვების დღიური ,რომელშიც მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ვინიშნავდი მოსწავლეთა შედეგებს.მისმა ანალიზმა შემდეგი სურათი გვაჩვენა:

1. რამდენად ამაღლდა ბიოლოგიის სწავლის სურვილი მოსწავლეთა თვითშეფასებით ინტერვენციის შემდეგ?



2. საშინაო დავალების შესრულების ამსახველი დიაგრამა ინტერვენციების შემდეგ ბიოლოგიაში.



3. ჩართულობის ხარისხი ინტერვენციის შემდეგ ბიოლოგიის გაკვეთილზე.



5.2: ინტერვენციების შეფასება

ჩემ მიერ განხორციელებული ინტერვენციები ვფიქრობ, რომ შედეგიანი აღმოჩნდა ჩემი მოსწავლეებისათვის. ამისი დანახვა მათმა გააქტიურებამ და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესებამ დამანახა. ინტერვენციების განხორციელება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო და დიდი დრო დასჭირდა, თუმცა მისი შემდგომი ინტერვიუს ანალიზში მკვეთრად გამოჩნდა, რომ აშკარად მოიმატა მოსწავლეთა ბიოლოგიის გაკვეთილების (და არა მარტო) მეცადინეობაზე დახარჯულმა დრომ, ასევე მოიმატა საშინაო დავალების შესრულების ხარისხმა და რაოდენობამ. ეს ყოველივე კი ალბათ სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციების შედეგია.

ეტალონზე მუშაობამ ვთვლი, რომ შედეგი გამოიღო. პირველ რიგში ამის საფუძველს მაძლევს ის, რომ მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ მეცადინეობებში, არ აცდენდნენ და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ. პროცესი მათთვის თანდათანობით საინტერესო გახდა და მოლოდინიც იყო გამარჯვებისა. ამავდროულად ხშირად ვეკონტაქტებოდი მე-11 კლასში შემსვლელ პედაგოგებს და ვკითხულობდი მათ აზრს მოსწავლეთა შედეგების შესახებ. მაგალითად კვლევის პროცესში მნიშვნელოვნად იყვნენ ჩართულნი გეოგრაფიის, ისტორიის, უცხო ენების მასწავლებლები, რომელთა აზრითაც აშკარა იყო მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაზრდა და უფრო მეტი ინტერესი საგნის მიმართ. ეს გამოიწვია იმან, რომ აშკარად დაინახეს მათი დასახული მიზნის მიღწევა სასკოლო შრომის

გარეშე შეუძლებელი იქნებოდა .ვინაიდან მეცადინეობებზე ხშირად ვიხილავდით სხადასხვა ეტალონზე გამოყენებულ კითხვებს,რომლებიც სრულიად ემთხვეოდა და შეესაბამებოდა სასწავლო პროგრამას.

ეტალონის ჩატარების დროს მოსწავლეთა თითქმის 60 % მიიღო შიდა სასკოლო შესარჩევ ტურში მონაწილეობა.აჩვენეს საკმაოდ მაღალი შედეგი, მათგან რამოდენიმე მოსწავლე გადავიდა ფინალურ ტურში,სადაც ერთ -ერთმა მოიპოვა მეორე საპრიზო ადგილი .ფინალში გასული მონაწილეების საკონკურსო ქულების მაჩვენებელი კი საკმაოდ წარმატებული და მაღალი იყო.

ინტერვენციების დაგეგმვისას გავითვალისწინე გამოკითხვის შედეგები და მაქსიმალურად ვეცადე თოთოეული გაკვეთილი მოსწავლეზე ორიენტირებული ყოფილიყო,რაშიც გამოვიყენე ბიოლოგიის სწავლების ახალი ,თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები.

ამ მეთოდების გამოყენებამ მოსწავლეებში ინტერესი აამაღლა,ისინი უკვე საკუთარი სურვილით ითხოვდნენ ასეთი ტიპის გაკვეთილების ჩატარებას და მეც ხშირად ვცდილობდი რომ ამ მეთოდებისათვის მიმემართა და თანაც ისე ,რომ არ გადამეხვია სასწავლო მიზნებისათვის.ინტერვენციები დავგეგმე ყველა მოსწავლის შესაძლებლობისა და უნარების გათვალისწინებით.თუ ზოგიერთი მოსწავლისათვის სირთულეს წარმოადგენდა ვირტუალური ლაბორატორია,მათ შევთავაზე მეთოდი -მანიპულაციები და შევეცადე ფიზიკური კეთებით გავსულიყავი გარკვეულ შედეგზე . ეს ძალიან ახალისებდათ მოსწავლეებს და დიდი ინტერესით ასრულებდნენ მიცემულ დავალებას.

პარალელურად ვაკვირდებოდი გაკვეთილზე მოსწავლეთა ჩართულობას და სამუშაოს შესრულების ხარისხს , ვამღებდი მოსწავლეებს უფრო მეტად განმავითარებელ შეფასებებს,რომლებსაც დიდი ყურადღებით ისმენდნენ და ითვალისწინებდნენ მომდევნო დავალებების შესრულებისას.ასევე ვაფასებდი მათი აქტივობების სწორ განხორციელებას შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასებებითაც,თუმცა მათ მოტივაციაზე ეს შედარებით ნაკლებად მოქმედებდა.

ვებ-ძიების მეთოდის გამოყენება უმრავლესობისათვის შესრულებადი და საინტერესო აღმოჩნდა.წინასწარ დავალების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ჯგუფებად ან წყვილებად ვყოფდი,რაც მათ თანამშრომლობის უნარს უვითარებს.ასევე ვარჩევდი ისეთ დავალებებსაც ,რომელსაც თითოეულ მოსწავლეს ინდივიდუალურად ვარგებდი,სადაც გათვალისწინებული მქონდა მათი ინტერესები,შესაძლებლობები ,უნარები .

სასწავლო პროექტის განხორციელებისას აშკარად ჩანდა მოსწავლეთა მაღალი ჩართულობის ხარისხი . დადებით მხარედ გამოვკვეთავდი იმას,რომ პირველ რიგში დაგეგმილი იყო მრავალფეროვანი აქტივობები,რომელთა განხორციელებაც სხვადასხვა სირთულეს და შესრულებას მოითხოვდა,ამის გამო ბევრი მოსწავლის ჩართვა მოხდა

პროექტში მათი შესაძლებლობების ,უნარების,ინტერესების შესაბამისად. პროექტი სახალისო და თანაც დინამიური გახადა.აღსანიშნავია ასევე ,ისიც,რომ მოლოდინი ყველასათვის იყო მდალი.ამ პროექტის განხორციელებაში თითქმის ყველა მოსწავლე იყო მობილიზებული შესასრულებელ სამუშაოზე.

დოკუმენტური ფილმის ჩვენებამ აშკარა ცხადყო,რომ მოსწავლეთა მოტივაცია მკვეთრად იყო შეცვლილი უკეთესობისაკენ,მათმა დამოუკიდებლად გაჩენილმა სურვილმა ამ ფილმის პრეზენტაციის მოწყობაზე, ჩემი თითქმის უკვე განხორციელებული მიზანი დამანახა. მათ უმრავლესობას უკვე თავისუფლად შეეძლო არგუმენტირებული მსჯელობა,ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებების ერთმანეთთან შედარება,გაანალიზება და მონაცემთა გათვალისწინებით სანდო ინფორმაციის მიღება და რაც ყველაზე მთავარია დამოუკიდებლად გაჩენილი სურვილი უფრო მეტის გაკეთების და შესრულებისა.მათ გაითავისეს ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობა და გადაწყვიტეს სწორედ ამ მიმართულებით წარედგინათ ეს პროექტი საზოგადოების და განსაკუთრებით ახალგაზრდა მოზარდების წინაშე.მე ვთვლი ,რომ მათი ასეთი მოტივაცია გამოიწვია სამუშაოს აქტუალურობამ და ინტერესმა,ასევე იმან ,რომ მათთვის ეს შესრულებადი სამუშაო იყო და აშკარად ხედავდნენ ,რომ ამ სამუშაოს მიზანიც მიღწევადი იქნებოდა.სწორედ ეს გახდა მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესების და ამაღლების მიზეზი.

თუმცა ასევე უნდა აღვნიშნო ისიც,რომ პრობლემის მოგვარებას კიდევ ბევრი აქტიური და თანამედროვე ტექნოლოგიებზე მორგებული საგაკვეთილო პროცესები სჭირდება,რაც სწავლების პროცესში განუწყვეტლივ უნდა ხორციელდებოდეს ,მთავარია ,რომ მოსწავლეებში წარმოქმნილი მოტივაცია შენარჩუნდეს, რასაც ძალიან დიდი შრომა სჭირდება.კიდევ უფრო მეტადაა საჭირო თითოეული ინტერვენციის თითოეული მოსწავლის უნარებზე ,შესაძლებლობებზე და ინტერესებზე მორგება.

რეკომენდაციები

ინტერვენციების შედეგების ანალიზის საფუძველზე შევიმუშავე რეკომენდაციები პედაგოგიური პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. ამ მეთოდების და მიდგომების გამოყენება ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, ამაღლებას და მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას გაკვეთილზე.

ჩემ მიერ მე-11 კლასში განხორციელებული ინტერვენციების მიზანი იყო მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება და შენარჩუნება, რაც თითოეულ მოსწავლეს უფრო აქტიურს ხდის, უთითებს ახლის შესწავლისკენ. გაკვეთილებიც მრავალფუნქციური ხდება, შესაბამისად უფრო საინტერესო და სასარგებლო. ჩემ მიერ განხორციელებულმა აქტივობებმა საკმაოდ კარგი შედეგი მომცა.

კვლევას ვაწარმოებდი ჩემს კოლეგებთან ერთად, კონკრეტულად იმ პედაგოგების დახმარებით, რომლებიც ასწავლიდნენ მე-11 კლასს. ჩემი განხორციელებული ინტერვენციების შედეგების გათვალისწინებით შემიძლია წარმოვადგინო შემდეგი რეკომენდაციები:

* თითოეული პედაგოგისთვის საგაკვეთილო პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის ხარისხის გაზრდა. ამის მისაღებად კი აუცილებელია, რომ მუშაობის პროცესში ხშირად მიმართონ განსხვავებულ და მრავალფეროვან აქტივობებს, გამოიყენონ მოსწავლეზე ორიენტირებული საგნის სწავლების მეთოდები და ყოველთვის გაითვალისწინონ თითოეული ომოსწავლის შესაძლებლობები და უნარები დავალების მიცემისას.

* მასწავლებელმა ყოველთვის გაამახვილოს ყურადღება სკოლაში მიღებული განათლების მნიშვნელობაზე და სხვადასხვა აქტუალური პროექტებით შეძლოს მოსწავლეს დაანახოს ზოგადი განათლების გამოყენების საჭიროება და აუცილებლობა.

* პედაგოგმა სასწავლო პროცესის დროს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ ორიენტირებული იყოს არა მარტო ცოდნისა და კონკრეტული საგნის შესწავლაზე, არამედ მოსწავლეს ჩამოუყალიბოს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ პიროვნულ განვითარებას და ჩამოყალიბებას.

* მოტივაციის ამაღლების მიზნით მასწავლებელმა საგაკვეთილო პროცესი უნდა გაამდიდროს ისეთი თანამედროვე მეთოდებით, როგორცაა, სასწავლო პროექტები, სოციალური პროექტები, კვლევები, ლაბორატორიული სამუშაოები, დისკუსიები და ა.შ. და ყოველივე ამ მეთოდების გამოყენებისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის უნარი და ინტერესი, რაც ამაღლებს და რაც ყველაზე მთავარია შეუნარჩუნებს მოსწავლეს მოტივაციას, ეს კი სწავლების პროცესში უმნიშვნელოვანესია. მოსწავლეთა მოტივაცია ქვეითდება თუ მას არ გააჩნია დადებითი შედეგების მოლოდინი.

დასკვნა

2017 -2018 სასწავლო წელს განვახორციელე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა,რომელიც მთელი სასწავლო წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა და მოიცავდა პრობლემის შესწავლის,ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიების,ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელების და შედეგების შეფასების ეტაპებს.პრობლემას წარმოადგენდა, მე-11 კლასის მოსწავლეებში მოტივაციის კლება.კვლევა დაიგეგმა სწორედ ამ პრობლემის მოგვარების მიზნით. გამოიკვეთა რამოდენიმე ფაქტორი ,რომელმაც გამოიწვია მოსწავლეებში მოტივაციის კლება:

- * ნაკლები ინფორმირებულობა სასკოლო, ზოგადი განათლების მნიშვნელობის შესახებ
- * ერთფეროვანი და მოსაწყენი საგაკვეთილო პროცესები
- * თანამედროვე მდგომარეობის და ტექნოლოგიების ნაკლებობა სწავლა-სწავლების პროცესში

აღნიშნული პრობლემების მოგვარების მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა მრავალფეროვანი ინტერვენციები.ინტერვენციების შედეგების ანალიზი გვაჩვენებს,რომ პრობლემა მეტწილად აღმოფხვრილია და მოსწავლეთა პროგრესი მოტივაციის ამალღების კუთხით აშკარა დადებითია.თუმცა აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის ,რომ მოსწავლეებში მოტივაციის გაჩენა საკმარისი არ არის,აუცილებელია ამ მოტივაციის შენარჩუნება,რაც მოითხოვს აქტიურად და ყოველთვის მოსწავლეზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესების ჩატარებას ,მათთვის საინტერესო პროექტების დაგეგმვა-განხორციელებას,ტექნოლოგიების უფრო ხშირ ჩართვას და ა.შ.მოსწავლეებთან ერთად პედაგოგი უფრო მეტად ვითარდება ,მიმართულია სიახლეებისაკენ,სკოლის სარგებელს წარმოადგენს წარმატებული ,განათლებული ,პროგრესული,მოაზროვნე თაობა.

დანართი I

კითხვარი მოსწავლეთათვის

1. როგორ ფიქრობთ, იკლო თუ არა თქვენმა მოტივაციამ გასულ სასწავლო წელთან შედარებით?

დიახ

არა

განმარტება-----

2. რა დროს უთმობდით მეცადინეობას გასულ წლებში?(დააკონკრეტეთ ბიოლოგიის მეცადინეობისათვის განკუთვნილი დრო) -----

3. შეამცრეთ თუ არა მეცადინეობისათვის განკუთვნილი დრო მიმდინარე სასწავლო წელს ბიოლოგიაში?

კი

არა

განმარტება-----

4. როგორია თქვენი თვითშეფასება, რამდენად კმაყოფილი ხართ საკუთარი თავით, მიღწევებით?-----

5. სწავლობთ ყველა საგანს თუ მხოლოდ ზოგიერთს, ინტერესების შესაბამისად? (რა ინტენსივობით სწავლობთ ბიოლოგიას?)-----

6. რომელი საგნები იწვევს თქვენს განსაკუთრებულ ინტერესს და რატომ?(საინტერესოა თუ არა ბიოლოგიის გაკვეთილები თქვენთვის?)-----

7. თვლით თუ არა, რომ მაღალი ქულის მიღება დადებითად მოქმედებს თქვენს მოტივაციაზე?

დიახ

არა

განმარტება-----

8. თვლით თუ არა, რომ დაბალი ქულის მიღება დადებითად მოქმედებს თქვენს მოტივაციაზე?

დიახ

არა

განმარტება-----

9. მოქმედებს თუ არა განმსაზღვრელი შეფასება თქვენს მოტივაციაზე? როგორ?

დადებითად

არ მოქმედებს

10. ხომ არ ახდენენ თქვენ მოტივაციაზე გავლენას დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები?

11. თუ არსებობს გარე ფაქტორები, რომლებიც ხელს გიშლიან მეცადინეობაში?

კი

არა

კონკრეტულად რა?-----

12. შეიცვალა თუ არა თქვენი მიზნები და ინტერესები გასულ წელთან შედარებით?

კი

არა

განმარტება-----

13. სწავლის პროცესში ითვალისწინებს თუ არა მასწავლებელი თქვენს ინტერესებს? -----

14. არის თუ არა მასწავლებელი აქტიური მსმენელი?

კი

არა

15. გეძლივით თუ არა გაკვეთილზე მოსაზრებების თავისუფლად გამოთქმის საშუალება?

კი

არა

განმარტება-----

დანართი II

კითხვარი მასწავლებლებისათვის

1.იკლო თუ არა მოსწავლეთა გაკვეთილზე ჩართულობის ხარისხმა გასულ წელთან შედარებით?

კი

არა

განმარტება-----

2.რეგულარად დაახლოებით რამდენი პროცენტი ასრულებს საშინაო დავალებას მიმდინარე სასწავლო წელს?-----

3. დაახლოებით რამდენი პროცენტი ასრულებდა გასულ სასწავლო წელს?-----

4.ჯგუფური მუშაობისას როგორია მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი? როგორი იყო გასულ წელს?-----

5. თქვენი აზრით, რა იწვევს მოსწავლეთა დაბალ აქტივობას?-----

6.დაინტერესებულნი არიან თუ არა მოსწავლეები კლასგარეშე ღონისძიებებითა და პროექტებით?

კი

არა

7. ამაღლებს თუ არა ასეთი ტიპის ღონისძიებები მოსწავლეთა მოტივაციას?-----

8.მიმართავთ თუ არა გაკვეთილზე მოსწავლეთა მიერ ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების მეთოდს?

ხშირად

იშვიათად

საერთოდ არა

9.შექმნილია თუ არა სკოლაში შესაბამისი სასწავლო გარემო?(მასწავლებელთა და მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულება,სასწავლო რესურსები და ა.შ.) , რომელიც დადებითად აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე?-----

10.რა მეთოდებს მიმართავთ მოტივაციის ასამაღლებლად და მის შესანარჩუნებლად?-----

11. რა ღონისძიებების გატარება გიხდებათ მოსწავლეებთან დაბალიაქტივობის შემთხვევაში?

დანართი III

კითხვარი მშობლებისათვის

1. რა დროს უთმობდა თქვენი შვილი მეცადინეობას გასულ წლებში? -----

2. შეამცირა თუ არა თქვენმა შვილმა მეცადინეობისათვის განკუთვნილი დრო მიმდინარე სასწავლო წელს?

კი

არა

განმარტება-----

3. რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი შვილის მიღწევებით?-----

4. როგორ ფიქრობთ, იკლო თუ არა თქვენი შვილის მოტივაციის ხარისხმა გასულ სასწავლო წელთან შედარებით?

კი

არა

განმარტება-----

5. თქვენი აზრით, რა იწვევს მათი სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხის ცვლილებას?--

6. როგორ ფიქრობთ, იწვევს თუ არა მასწავლებლის ლოიალური დამოკიდებულება თქვენი შვილის მოტივაციის დაქვეითებას?-----

7. არსებობს თუ არა გარე ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის თქვენს შვილს მეცადინეობაში?-----

8. როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არ თქვენს შვილს შესაბამისი სასწავლო გარემო შექმნილი სწავლებითვის?-----

9. ფიქრობთ თუ არა, რომ მიეცით ზედმეტი თავისუფლება თქვენს შვილს სწავლის პროცესში, თვლით თუ არა, რომ ეს აუცილებელი იყო? -----

10. როგორ ფიქრობთ, რომელიმე საგნისამი ინტერესი ხომ არ გაუღვივა თქვენს შვილს
მასწავლებლის მიმართ პატივისცემამ?-----

ბიბლიოგრაფია

1. http://mastsavlebeli.ge/?p=9727&fbclid=IwAR24tts_wSEJ8LFYJIFtlnSBIQo_rLiL7JUIVRXOmpCrR-K3QcwtYRVxEtvI მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების კელერისეული მოდელი, 1 აპრილი, 2016 წინო კაპანაძე
 2. http://mastsavlebeli.ge/?p=2397&fbclid=IwAR0UgJFVNbCtUjNcCLOITM5HvOGO_RbMn სწავლის მოტივაცია – თეორია და სტრატეგიები, 1 აპრილი, 2013 მარიკა სიხარულიძე
 3. http://mastsavlebeli.ge/?p=13861&fbclid=IwAR3eSKJ0JEEUnIVJimOYdk5srlxpSav0u_Wjoj0N2WIHv_jJn-xxFev3ftI-SjFFVD1g1UeLK1sLPEvfE4cZg მოსწავლის მოტივაცია დაწყებით კლასებში, 12 აპრილი, 2017 ია ტურაშვილი
 4. http://mastsavlebeli.ge/?p=16130&fbclid=IwAR0UgJFVNbCtUjNcCLOITM5HvOGO_RbMn საშინაო დავალების ეფექტური მეთოდები, 15 ნოემბერი, 2017 ინა იმედაშვილი
 5. http://mastsavlebeli.ge/?p=1982&fbclid=IwAR0OjqhODIioV7gx_UHUKdjMKQTP8udXJExszK2sk5yhXn8B6vP74B62K10-SjFFVD1g1UeLK1sLPEvfE4cZg მოტივაცია თეორიასა და პრაქტიკაში, 24 ივნისი, 2014 ირინა აბულაძე
 6. <http://mastsavlebeli.ge/?p=9379&fbclid=IwAR3I7LSTa29-LliDhYImZe9e33Tu3Lkv1sEyX69hKEIBQidiI6hhLRys0Ao> მოტივაცია და შთაგონება, გაკვეთილი – როგორც ჰიპნოტური სტიმულაცია, 10 მარტი, 2016 მარიამ გოდუაძე
 7. https://nsportal.ru/shkola/biologiya/library/2017/01/22/formy-i-metody-motivatsii-obucheniya-na-urokah-biologii-fbclid=IwAR1OPp8WDe_eyrvvTsLTTwuWUOK8scecFLXx38hYrtQU2zMVFr28Mn5uOnw Формы и методы мотивации обучения на уроках биологии. Опубликовано 22.01.2017 - 12:13 - Кихоть Анна Васильевна
- მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომები, " აქტიური სწავლება ბიოლოგიაში" -მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2017(სატრენინგო მასალა)
 - ტყემალაძე. რ., დალაქიშვილი ნ., თოფაძე ქ.,პაჭკორია თ., ბუწაშვილი, 2008, სწავლება და შეფასება,თბილისი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
 - ნიჟარაძე ნ.,მაკლეინი ქ.,ბოლი ტ.,გგიჩაძე ნ.,ლოდია თ.,2008,სასწავლო და პროფესიული გარემო,მასწავლებელთა განვითარების ცენტრი,

თბილისი,გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“.

- . ჯანაშია ნ.,იმედაძე ნ.,გორგოძე ს.,2008,განვითარებისა და სწავლების თეორიები,თბილისი,მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი,გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“.
- . წულაძე ლია,2008წ,რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში,თბილისი,სოციალურ მეცნიერებათა სერია.
- . ზურაბიშვილი თ.,2006წ.თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში,თბილისი,სოციალურ მეცნიერებათა სერია. ელ. ფოსტა: contact@ucss.ge
ინტერნეტ გვერდი: www.ucss.ge

რეფლექსია

მე-11 კლასში ჩატარებული კვლევა მოტივაციის დაქვეითებასთან დაკავშირებით წარმატებით განხორციელდა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ბოლომდე აღმოიფხვრა. საგაკვეთილო პროცესში იმისათვის, რომ აამაღლო მოტივაცია ჯერ უნდა მოიპოვო, რომელიც შესაძლებელია ყურადღების კონცენტრირებით, ხოლო ყურადღება რომ მოიპოვო საჭიროა აღძრა ცნობისმოყვარეობა და ბოლომდე შეინარჩუნო. ეს რა თქმა უნდა ბევრად რთულია, თუმცა მე ჩემი კოლეგების დახმარებით ეს გარკვეულწილად ნაწილობრივ შევძელი, რაზეც მეტყველებს განხორციელებული ინტერვენციათა შედეგები და მათი ანალიზი, რომლის თანახმადაც მოსწავლეთა მოტივაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა უკეთესობისაკენ.

განხილული კვლევა წარუდგინე ჩემს კოლეგებს, კონკრეტულად მე-11 კლასში შემსვლელ ყველა პედაგოგს. მათ ინტენსიური შეხება აქვთ ამ მოსწავლეებთან და ხედავენ მათ პრობლემებსაც და მიღწევებსაც. ამ კვლევის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ყველა მათგანს, ვინაიდან ისინი პერიოდულობით მაწვდიდნენ ინფორმაციას გაკვეთილზე მოსწავლეთა აქტიურობის, ჩართულობის, მოტივაციის შესახებ, რასაც ჩემს დაკვირვებებთან ერთად ვინიშნავდი დღიურში. კვლევის პროცესი საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა როგორც პირადად ჩემთვის ისე მასში მონაწილე ყველა პირისათვის.

კვლევის წარდგენას ესწრებოდნენ საბუნებისმეტყველო კათედრის წევრები, ასევე ფასილიტატორი, რექტორის მოადგილე ნანა კობახიძე. მათ მოისმინეს ჩემ მიერ ამ პრობლემის მოგვარების მიზნით განხორციელებული ინტერვენციები და ამ ინტერვენციების შედეგები დაწვრილებით. ამ ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ მათ აღნიშნეს, რომ აშკარად შეინიშნებოდა მოსწავლეთა წინსვლა და მოტივაციის გაუმჯობესება, თუმცა ამავედროულად მომცეს საინტერესო უკუკავშირი ინტერვენციების და მოსწავლის საჭიროებების შესახებ, რასაც შემდგომ საწავლო პროცესში აუცილებლად გავითვალისწინებ. კათედრის წევრებმა მომაწოდეს საგანზე, კერძოდ ბიოლოგიის სწავლებაზე მორგებული სხვა მეთოდებიც რაც აუცილებლად დამეხმარება და გამომადგება მიზნის მისაღწევად. ასევე აღნიშნეს, რომ აუცილებლად გამოიყენებდნენ თავიანთ პრაქტიკაში ჩემ მიერ განხორციელებულ აქტივობებს და თანამედროვე სწავლების მიდგომებს საგაკვეთილო პროცესში და საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელების დროს.

კვლევის პროცესში მე შევიძინე კვლევისათვის აუცილებელი და საჭირო უნარები, თუ როგორ უნდა შევისწავლო და გამოვკვეთო წამოჭრილი პრობლემები და სირთულები და როგორ შევიძუშაო მათი მოგვარების გზები. ასევე გავითვალისწინო ის მოსალოდნელი სირთულები რაც შესაძლებელია კვლევის პროცესში წამოიჭრას.

ხელმოწერა: ნ. კარელიძე

